

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი  
ფატი ხალვაში

2021 წლის სექტემბერი- 2022 წლის 31 დეკემბერი

გაწეული საქმიანობის ანგარიში

საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში ვახორციელებდი საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ საქმიანობას: ვმუშაობდი წარმოდგენილი საკანონმდებლო საკითხების განხილვაზე, მონაწილეობას ვიღებდი მოკვლევებში, ვხვდებოდი მოქალაქეებს და ვახორციელებდი სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, როგორც გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.

საკანონმდებლო საქმიანობა

ვარ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრი, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დავესწარი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის - 4 სხდომას, რომელზეც განხილული იქნა - 11 საკითხი. დავესწარი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ 12 სხდომას. მათ შორის: კომიტეტის სხდომა – 8; კომიტეტების ერთობლივი სხდომა – 4; სულ კომიტეტის სხდომებზე განხილული იქნა 26 საკითხი, აქედან: კანონპროექტი 8; სხვადასხვა უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა ანგარიში და ინფორმაცია - 26. საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივის თაობაზე მომზადებულია 8 დასკვნა. ჩავატარე გენდერული თანასწორობის საბჭოს 1 სხდომა და წარვუდგინე საქმიანობის ანგარიში.

## განხორციელებული აქტივობები

*სისტემატიურად ვმართავ შეხვედრებს საზოგადოებასთან, უცხოელ სტუმრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დონორებთან.*

2021 წლის 17 სექტემბერს, აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავჯდომარესა და „ჟურნალისტთა ქსელ გენდერული თანასწორობისთვის“ შორის ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა IFES-სა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. მხარეებმა გამართეს დისკუსიარჩევნებში ქალთა მონაწილეობის საკითხის შესახებ.

2021 წლის 2 ნოემბერს პროექტის - „გენდერული პოლიტიკის ეფექტიანი ლოკალიზაცია“ ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა.

2021 წლის 10 დეკემბერს, შეხვედრი სამრეწველო პალატასთან არსებულ ქალთა ოთახის გაერთიანების წევრებს.

2021 წლის 15 დეკემბერს სამუშაო შეხვედრის ფარგლებში განვიხილე 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა საბჭოს წევრებთან და IFES-ის წარმომადგენლებთან.

2022 წლის 14 მარტს შეხვედრი სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე - ირმა აფხაზავას.

2022 წლის 16 მარტს, სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განვიხილე აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამართლის უზენაესობის პროგრამის წარმომადგენლებს შორის გამართულ შეხვედრაზე.

2022 წლის 25 მარტს, ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონში“, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსა და აჭარაში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების სამუშაო შეხვედრას დავესწარი.

2022 წლის 26 მარტს, დავესწარი კონფერენციას სახელწოდებით - „გადადგი ნაბიჯი თანასწორობისკენ“.

2022 წლის 12 აპრილს, გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2023 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, შევხვდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორს - მადონა მიქელაძეს

2022 წლის 14 აპრილს, დავესწარი აჭარის უმაღლეს საბჭოში, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის და აიპ „ბათუმის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის“, უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩართულობით გამართულ კონფერენციას: „მე მაქვს უფლება... ნახე, დაინახე, შეაფასე...“

2022 წლის 15 აპრილს, 2021-2023 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში შევხვდი ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილსა და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გურამ აბაშიძეს.

2022 წლის 26-28 აპრილს, აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და აპარატის წარმომადგენლებთან ერთად, გენდერული ბიუჯეტების საკითხებთან დაკავშირებით, საირმეში გამართულ ორდღიან სამუშაო შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა.

2022 წლის 2 მაისს, აჭარის უმაღლეს საბჭოში ელექტრონულად შემოსული პირველ პეტიციას დავესწარი საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე - „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერება/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავების“ შესახებ.

2022 წლის 10 მაისს, სულიერების ცენტრისა და მისი დირექტორ ბესიკ სილაგაძის მხარდაჭერით 200-მდე სოციალურად დაუცველ და შშმ ბავშვს საჩუქრები გადავეცი.

2022 წლის 16 მაისს, აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით, ბათუმში, სასტუმრო " ჰილტონში", მოქალაქეთა პირველ ელექტრონულ პეტიციასთან - „ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება აჭარაში“ დაკავშირებული სამუშაო შეხვედრას.

2022 წლის 18 მაისს ბათუმის #7 საჯარო სკოლაში ეროვნული სამოსის დღის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებაში მივიღე მონაწილეობა.

2022 წლის 26 მაისს, აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ორგანიზებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, ბათუმში TEDx-ის სტილის ღონისძიება – „მთააგონე“ A-Spire“-ს დავესწარი

2022 წლის 1 ივნისს, აჭარის უმაღლეს საბჭოში გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში ENPARD 3-ის“ პროექტის წარმომადგენლებს ვუმასპინძლე.

2022 წლის 7 ივნისს სოფელ ხალას საბავშვო ბაღს ვეწვით.

2022 წლის 11 ივნისს ფრიდონ ფუტკარაძესთან და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის აპარატის წევრებთან ერთად ქედის მუნიციპალიტეტში ირმა ხვიჩიას სარეაბილიტაციო ცენტრის ფილიალის გახსნის ღონისძიებას დავესწარი.

2022 წლის 15 ივნისს, „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა“ და აჭარის დასაქმების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ფორუმის გახსნას დავესწარი.

2022 წლის 23 ივნისს, აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე ამავე საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის წლიური ანგარიში წარვადგინე.

2022 წლის 4 ივლისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ აგრო ფორუმში მივიღე მონაწილეობა.

2022 წლის 4 ივლისს, შევხვდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს.

2022 წლის 11 ივლისს, დავესწარი პროფესიული უნარების სააგენტოსა და ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ ორგანიზებულ ონლაინ საინფორმაციო შეხვედრას.

2022 წლის 14 ივლისს, მივიღე დადებითი პასუხი მუნიციპალიტეტების მერიებისაგან ქალთა ოთახებში დამატებითი თანამშრომლების აყვანის თაობაზე.

2022 წლის 15 ივლისს, ფატი ხალვაშს ჰქონდა ინტერვიუ თავისი საქმიანობის შესახებ, Zoom პლატფორმის საშუალებით, საქართველოს საზოგადოებრივი ინსტიტუტის სტუდენტებთან.

2022 წლის 22 ივლისს, დავესწარი ეთერ დეკანაძის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას.

2022 წლის 25 ივლისს, ვესტუმრე ქობულეთის მუნიციპალიტეტში ქეთევან ღლონტის საკალმახე მეურნეობასა და ზანდა მესხიძის მოცვის პლანტაციას.

2022 წლის 18 აგვისტოს, "ქართული ოცნების" ქალთა ორგანიზაციის აჭარის რეგიონული საბჭოს წევრებთან ერთად ხელვაჩაურში ინდირა ჯაფარიძის მარანს ვესტუმრე

2022 წლის 1 სექტემბერს, ხულოს ქალთა ოთახის ინიციატივითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს მხარდაჭერით მთა თეთრობს ვესტუმრე.

2022 წლის 4 სექტემბერს, დავესწარი სოფელ ჩაქვისთავში სახალხო დღესასწაულს - „ჩაქვისთავობას“.

2022 წლის 12 სექტემბერს, პოლონეთში, კარპაჩის 31-ე ეკონომიკურ ფორუმში - "ევროპა ახალი გამოწვევების წინაშე" მივიღე მონაწილეობა.

2022 წლის 16 სექტემბერს, ბათუმში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტური ტექნოლოგიების მხარდამჭერ პროგრამის თემაზე გამართულ კონფერენციას დავესწარი. ღონისძიება ეკუთვნის პროექტს - „მე მაქვს უფლება...“

2022 წლის 29 სექტემბერიდან, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო ახორციელებდა თემატურ მოკვლევას: ქალების წვდომა ფინანსურ რესურსებზე“. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გენდერული თანასწორობის საბჭო აღნიშნული მოკვლევის თანამონაწილეა.

2022 წლის 3 ოქტომბერს, ქედის მუნიციპალიტეტში, „ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, გამართულ შეხვედრას დავესწარი.

2022 წლის 13 ოქტომბერს, შშმ პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობის შესწავლის თაობაზე - თემატური მოკვლევის ფარგლებში, აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების სამუშაო შეხვედრას დავესწარი.

2022 წლის 22 ოქტომბერს, აჭარაში მოღვაწე ქალ პოეტებსა და მწერლებთან შეხვედრას დავესწარი.

2022 წლის 3 ნოემბერს, თინა ზოიძესთან ერთად შევხვდი ხულოს მუნიციპალიტეტში მოღვაწე მეწარმე ქალებს.

2022 წლის 16 ნოემბერს, გაეროს განვითარების ფონდის ხელშეყობით, რეგიონში მოღვაწე მცირე ბიზნესის მფლობელი ქალბატონებისთვის მოვიწვის ინდივიდუალური ფოტოგრაფი ნაწარმის პოპულარიზაციის მიზნით.

2022 წლის 26 ნოემბერს, ბათუმში აგროსასურსათო პროდუქციისა და ტექნოლოგიების რიგით მე-10 საერთაშორისო გამოფენის გახსნას დავესწარი.

2022 წლის 1 დეკემბერს, აჭარის უმაღლეს საბჭოში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შევხვდი.

2022 წლის 2 დეკემბერს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერულ საბჭოსა და მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გავაფორმე.

2022 წლის 6 დეკემბერს, 16-დღიანი ნარინჯისფერი კამპანიის ფარგლებში ქობულეთსა და ხელვაჩაურში საჯარო სკოლების მოსწავლეებს შევხვდი.

2022 წლის 10 დეკემბერს, შშმ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში – კონფერენცია, რომელიც ბათუმში გაიმართა, ჩემი და IFES-ის თანამშრომლობით დაორგანიზდა.

2022 წლის 19 დეკემბერს სტუდენტებს გენდერული თანასწორობის გამოწვევებზე, თანაბარი გარემო-პირობების შექმნის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობაზე ვესაუბრე უმარლეს საბჭოსი ექსკურსიის დროს.

2022 წლის 19 დეკემბერს, პოლონეთიდან, ფონდის გამგეობის თავმჯდომარეს - კაროლ ფშივარას ვუმასპინძლე.

2022 წლის 26 დეკემბერს, კავკასიის ბიზნეს სკოლას ვეწვით და საჯარო ლექცია წავუკითხე.

2022 წლის 27 დეკემბერს, უმაღლეს საბჭოში, ქალთა მეწარმეობის წამახალისებელი გამოფენა გავხსენი.

### მოქალაქეთა მიღება

ჩემს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაცია, რითაც ვეცნობი მათ პრობლემებს, საჭიროებებს და ვახდენ მათზე შესაბამის რეაგირებას. შეხვედრები ძირითადად იმართება უმაღლეს საბჭოში, ასევე საჭიროების შემთხვევაში ვითარების სრულყოფილად შესასწავლად მოქალაქესთან ადგილზე გასვლითაც. უმაღლეს საბჭოში მოქალაქეთა მიღების ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში 2021 წლის სექტემბრიდან-დეკემბრამდე, შევხვდი 31 მოქალაქეს და მივიღე ოფიციალური 7 განცხადება, ხოლო 2022 წელს მივიღე 37 მოქალაქე და 30 ოფიციალური განცხადება. განცხადებათა ნაწილი შეეხება სოციალურ საკითხებს: დასაქმება, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, მკურნალობის მიზნით დაფინანსების თაობაზე შუამდგომლობის გაწევა შესაბამის სამთავრობო უწყებებთან, ასევე აღსანიშნავია მოქალაქეთა მომართვები მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ ინფრასტრუქტურული საკითხების (გზის, სასმელის წყლის, საკანალიზაციო ქსელის და სხვ.) მოწესრიგებაზე შუამდგომლობის გაწევასთან დაკავშირებით. ამის პარალელურად, შეხვედრებს ვაწარმოებდი ადმინისტრაციული შენობის გარეთაც და მქონდა სატელეფონო კონსულტაციებიც. მოქალაქეთა მიღების ფარგლებში განხორციელებული შეხვედრები უკავშირდებოდა სხვადასხვა თემატიკას და მიზნად ისახავდა მოქალაქეთა წინაშე არსებული საკითხების გაცნობა/გადაწყვეტას, კონსულტაციის გაწევას, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წინაშე შუამდგომლობის აღძვრას, სრულყოფილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შეგროვებაში მოქალაქისათვის დახმარების გაწევას, დასაქმებას და ა.შ.

ყველა განცხადება შესწავლილი და რეაგირებული იქნა დადგენილ ვადებში. განცხადებების დიდი ნაწილი რეაგირებისათვის გადაეგზავნა შესაბამის უწყებებს,

საიდანაც უმეტესწილად მიღებულია პასუხები უწყებების მიერ გატარებული  
დონისძიებების თაობაზე, რაზეც დროულად ეცნობათ მოქალაქეებს. ყველა  
მოქალაქეს ჩემი კომპეტენციის ფარგლებში გაეწია შესაბამისი დახმარება.